კონფიდენციალურობის პოლიტიკა

სსიპ ეროვული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (https://forestry.gov.ge/) პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (შემდგომ - პოლიტიკა) აღწერს ეროვნული სატყეო სამსახურის ვებგვერდის (შემდგომ - ვებგვერდი) მეშვეობით, ვებგვერდის მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესს.

პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მონაცემების დამუშავების მიზნები და საფუძვლები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის N2-796 ბრძანებით დამტკიცებული დებულების (შემდგომ-დებულება) საფუძველზე, სსიპ ეროვნული სატყეო სამსახური არის საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ეროვნული სატყეო სამსახური საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შენთახმებებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ბრძანებებით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადამინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

ეროვნული სატყეო სამსახური, ვებგვერდის მეშვეობით, ვებგვერდის მომხმარებლის მონაცემებს ამუშავებს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 37-ე და მე-40 მუხლების, ასევე დებულების მე-3 მუხლის „შ“ პუნქტის მიზნებისთვის, რომლის საფუძველზეც სააგენტო ვალდებულია მოთხვონის შესაბამისად გასცეს საჯარო ინფორმაცია.

ვებგვერდის მეშვეობით მიღებული მონაცემები ეროვნული სატყეო სამსახურის მიერ ასევე შესაძლოა დამუშავდეს სტატისტიკური ან/და ანალიტიკური მიზნებისთვის.

ვებგვერდის მეშვეობით დამუშავებული მონაცემები

ვებგვერდის მეშვეობით დამუშავებული მონაცემები თავად ვებგვერდის მომხმარებლების მიერაა მოწოდებული. ვებგვერდის მეშვეობით გროვდება შემდეგი მონაცემები:

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული განცხადების და მოსაზრება/წუხილის გაზიარების პროცესში - ვებგვერდის მომხმარებლის სახელი,

გვარი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საცხოვრებელი მისამართი, ასევე, განცხადებაში/შეტყობინებაში და მასზე დართულ დოკუმენტაციაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებული მონაცემები. განცხადების ფორმაში სავალდებულოდ შესავსებია ყველა ველი, ხოლო მოსახრება/წუხილის გაზიარების ფორმაში, ვებგვერდის მომხმარებლის ანონიმურობის დაცვის მიზნით, სავალდებულოდ შესავსებია სქესი და მუნიციპალიტეტი.

ვებგვერდის მეშვეობით დამატებითი მონაცემების დამუშავება

ეროვნული სატყეო სამსახურის ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად, შესაძლო ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების გამოვლენის მიზნით, რაც აუცილებელია, მათ შორის, ეროვნული სატყეო სამსახურის ელექტრონული სისტემების მთლიანობის უზრუნველყოფისა და საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნებისთვის - ვებგვერდის მეშვეობით ხდება დამატებითი მონაცემების შეგროვება.

ეროვნული სატყეო სამსახურის სერვერზე ფიქსირდება ვებგვერდზე მომხმარებლის შესვლის თარიღი, საათი და მეთოდი, ინტერნეტ პროტოკოლის მისამართი, რეფერალი და ვებგვერდზე მომხმარებლის მიერ განხორციელებული აქტივობების ამსახველი სხვა მონაცემები.

მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა

ეროვნული სატყეო სამსახურის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია კონფიდენციალურია. ეროვნული სატყეო სამსახური მისი ვებგვერდის მომხმარებლის მონაცემებს მესამე პირებს არ გადასცემს, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემდეგი შემთხვევებისა:

- თუ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის განაცხადის განხილვისთვის საჭიროა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენცია.
- სასამართლოში სამართალწარმოების მიზნით.

სხვა სახელმწიფოსთვის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემების გადაცემა

ეროვნული სატყეო სამსახურის მიერ ვებგვერდის მეშვეობით დამუშავებული მონაცემები სხვა სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციას არ გადაეცემა.

მონაცემების შენახვის ვადები და უსაფრთხოება

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადში არსებული პერსონალური მონაცემები ინახება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში მისი არსებობის ვადით.

ვებგვერდის მომხმარებლის უფლებები

ვებგვერდის მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს და უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება;ბ) იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ; გ) მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ; დ) მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო, თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე; ე) მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;
- გაეცნოს ეროვნული სატყეო სამსახურში მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ან/და მონაცემთა ასლების გაცემისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური;
- მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების გასწორება, განახლება, შევსება, დაბლოკვა, დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ;
- გამოიხმოს თანხმობა - განმარტების გარეშე ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი მის მიერ მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება (თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი);
- გააასაჩივროს - თუ მიიჩნევს, რომ ეროვნული სატყეო სამსახურის მიერ მონაცემთა დამუშავება არ შეესაბამება კანონით დადგენილ წესებს, შეუძლია მიმართოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ვებგვერდის მომხმარებლის უფლებების შეზღუდვა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვებგვერდის მომხმარებლის ზემოაღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ამით არ ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამ უფლებების განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

- სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;

- დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;
- ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;
- მონაცემთა სუბიექტის მიერ პროფესიული, მათ შორის, რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;
- მონაცემთა სუბიექტის ან/და სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებას;
- სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვას;
- სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებას.

ვებგვერდის მომხმარებლის უფლების შეზღუდვისათვის გათვალისწინებული ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.

უფლების შეზღუდვის საფუძვლების არსებობისას, ეროვნული სატყეო სამსახურის გადაწყვეტილება ვებგვერდის მომხმარებელს ეცნობება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს უფლების შეზღუდვის მიზანს.

ზემოაღნიშნული უფლებები რეალიზების მიზნით, გთხოვთ, მოგვწეროთ ეროვნული სატყეო სამსახურის ელ. ფოსტაზე: office@pdps.ge.

პოლიტიკის განახლება და დამატებითი ინფორმაცია

პოლიტიკის ეს დოკუმენტი ექვემდებარება საჭიროებისამებრ განახლებას.